



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.09.2021 წლის №040/21¹

გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ გაბროშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

მოსარჩელეთა მოთხოვნას მოპასუხეების მიმართ წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალის დაბრუნება. ადვოკატები დ. კ. და თ. ც. 2015 წლიდან იცავენ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის, მოსარჩელის ინტერესებს სამოქალაქო საქმეში. საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატების მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატებმა სასამართლოს მიაწოდეს არასწორი ინფორმაცია - დამალეს დოკუმენტის თარგმანში არსებული უზუსტობა; მოსარჩელის გარდაცვალების ფაქტის შესახებ ადვოკატებმა სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდეს ამ პირის გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ; ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წელს, მაშინ, როდესაც მხარეებს შორის დავა დაიწყო 2015 წლით დათარიღებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც ადასტურებს ადვოკატთა მონაწილეობას 2015 წლის ხელშეკრულების შექმნაში. ადვოკატებმა მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება, იმ საფუძველით, რომ მათ კლიენტებს არ შეეძლოთ სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდა, რაც რეალობას არ შეესაბამება; ადვოკატების მსჯელობა სხდომის მიმდინარეობის დროს იყო არალოგიკური და არადადამაჯერებელი. ადვოკატთა განმარტებით, ისინი აღნიშნულ კლიენტებს მომსახურებას უწევენ 2015 წლიდან, რასაც მოწმობს როგორც სარჩელის შეტანის, ისე ჰონორარის მიღების თარიღი და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული 2014 წელი წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. რაც შეეხება მარწმუნებლის გარდაცვალების ფაქტს, ეს ინფორმაცია მყისიერად მიაწოდეს სასამართლოს და მიუთითეს სავარაუდო უფლებამონაცვლებების თაობაზე. დოკუმენტებში არსებულ უზუსტობასთან დაკავსირებით კი, ადვოკატებმა განმარტეს, რომ ტექნიკურ უზუსტობას მათი მხარე არ დაყრდნობია და ეს არც სასამართლოში გამხდარა განხილვის საგანი, ასევე, ამას არ ჰქონია რაიმე გავლენა სასამართლო წარმოებაზე. სამართალწარმოებისას აღნიშნულ თარგმანზე არც მომჩივანს და არც მის წარმომადგენელს პრეტენზია არ ჰქონიათ. ადვოკატები ასევე მიუთითებდნენ, რომ მომჩივანის პრეტენზია ნაწილი ეხება 2015 წელს განხორცილებულ მოქმედებებს, შესაბამისად მოთხოვნა ხანდაზმული იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

პროცესუალური ისტორია

2021 წლის 14 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ი.-მა და მოითხოვა ადვოკატებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატების მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან ვერ დადასტურდა პროცესის მონაწილეთა პატივისცემისა და კანონიერი წარმომადგენლობის ვალდებულება.

საჩივრის ავტორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე: საადვოკატო საქმიანობის პრინციპს წარმოადგენს კანონიერება. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 3(ა) მუხლი) ასევე, ადვოკატი

¹ <https://gba.ge/pdf/62175bedb4045.pdf/040-21,%20ar%20aghdzvra,%2015.09.21.pdf>

ვალდებულია: არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი 5(გ) მუხლი). ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი 6.1 მუხლი). საადვოკატო საქმიანობა ეფუძნება კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში. მტკიცებულებების სიყალბესთან დაკავშირებით, კომისიამ აღნიშნა, რომ ყოველ მხარეს შეუძლია მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულება გახადოს სადავოდ. მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ საბოლოოდ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში კი, მომჩივან მხარეს კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ დოკუმენტის თარგმანში არსებული უზუსტობის შესახებ ინფორმაციას ფლობდა მისი წარმდგენი მხარე. მომჩივან მხარეს ასევე არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა მანამ, სანამ გაფორმდებოდა სადავო ხელშეკრულება. კოლეგიამ ადვოკატთა პოზიცია - რომ აღნიშნული ფაქტი იყო ტექნიკური შეცდომა, მიაჩნია სარწმუნოდ. რაც შეეხება კლიენტის გარდაცვალების ფაქტს, ამ ინფორმაციის შეტყობინების ფაქტიდან. საქმის მასალებიდან არ დგინდება, თუ როდის შეიტყვეს ადვოკატებმა. აღნიშნული ინფორმაცია საბოლოოდ სასამართლოს მიაწოდეს სწორედ ადვოკატებმა და მიუთითეს სავარაუდო უფლებამონაცვლეების თაობაზე. რაც შეეხება მომჩივანის პრეტენზიას ადვოკატის კვალიფიციურობასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ კლიენტი ადვოკატს ირჩევს კვალიფიციურობიდან გამომდინარე და საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. კონკრეტული ადვოკატის კვალიფიციურობაზე მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზია ვერ შეფასდება. ადვოკატების ქმედებებში არ დგინდებოდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც ადვოკატთა მიმართ არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატების ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლეოდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.